

**რამდენიმე ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობიდან
ახალციხეში
(საფარა, ხერთვისი)**

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850) იმ მეცნიერ-მოგზაურთა რიგებს მიეკუთვნება, რომელთა ნაშრომებმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში. წარმოშობით შვეიცარიელი ფრანგი, დიუბუა იყო ცნობილი სწავლული გეოლოგი, ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყირიმსა და კავკასიაში იმოგზაურა. 1833 წლის გაზაფხულზე იგი ჩავიდა რუსეთში, საიდანაც ჯერ ყირიმში, შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა. რუსული სამხედრო ხომალდით დიუბუამ იმოგზაურა კავკასიის სანაპირო ზოლის გასწვრივ, ხოლო შემდეგ მოიარა დასავლეთი ამიერკავკასია თბილისის ჩათვლით. მოგზაურობის დროს იგი აღგენდა დღიურებს, სადაც დაწვრილებით აღწერდა ნანახსა და გაგონილს, იმავედროულად იგი აზუსტებდა ანტიკური, შუა საუკუნეებისა და რუსი ავტორების ცნობებს ამ რეგიონის შესახებ. გარდა ამისა, დიუბუას პირადი კონტაქტები ჰქონდა სწავლულ კავკასიოლოგებთან, რომელთაგანაც ხშირად იღებდა ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს კავკასიის შესახებ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიუბუას ექვსტომიანი ნაშრომი “მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში” [1] წარმოადგენს არა მხოლოდ მოგზაურის ჩვეულებრივ დღიურს, არამედ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას, სადაც ნათლად ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ აღნიშნული ნაშრომი თავის დროზევე ჯეროვნად იქნა შეფასებული სამეცნიერო წრეების მიერ და მას საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი მიენიჭა (1838 წ.).

თავის თხზულებაში დიუბუა უხვად იყენებს ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაშრომებს, ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებს და მისიონერთა რელაციებს; გარდა ამისა, მას საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან და ხშირად სარგებლობდა მათი კონსულტაციებით. შესაბამისად, დიუბუას “მოგზაურობა...” ევროპაში დაგროვილი ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქის ავტორების, მოგზაურებისა და მისიონერების ნაშრომებში კავკასიის შესახებ დაცული მნიშვნელოვანი მასალების ერთგვარ შემაჯამებელ პუბლიკაციადაც გვევლინება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომით დიუბუამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოიტანა იმ დროისათვის სრულიად ახალი ისტორიული მასალა კავკასიის შესახებ.

ექვსტომიანი ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს; მათ შორის ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა დახასიათებას და ამ ორი ქვეყნის არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ განმაზოგადებელი ხასიათის მსჯელობას.

“მოგზაურობის” პირველი ტომის ერთი ნაწილი ეძღვნება ჩერქეზებს, რასაც მოსდევს აფხაზეთისა და სამურზაყანოს აღწერა; აქვე მოცემულია რედუტ-კალედან (ყულევი) ქუთაისამდე ავტორის მარშრუტის დახასიათება და ქუთაისის აღწერა.

მეორე ტომში მოცემულია საქართველოს ისტორიის ვრცელი მიმოხილვა და იმერეთის, რაჭისა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა აღწერილობა.

მესამე ტომი ეძღვნება სამეგრელოს, ლეჩხუმის, სვანეთისა და ქუთაისიდან თბილისამდე ავტორის მგზავრობის აღწერას, მის მომდევნო მეოთხე ტომში კი გადმოცემულია ავტორის მოგზაურობა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში. მეხუთე და მეექვსე ტომები მოიცავენ მასალას ჩრდილო კავკასიისა და ყირიმის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ნაშრომს ერთვის ავტორის მიერ შესრულებული ჩანახატების ატლასი სხვადასხვა სერიებით: გეოგრაფიული, ფერწერული, არქიტექტურული და გეოლოგიური. ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ საქართველოში დიუბუას მოგზაურობის შემდეგ ბევრი ხუროთმოძღვრული ძეგლი და ლაპიდარული წარწერა მნიშვნელოვნად დაზიანდა ან მთლიანად განადგურდა; მათი იმდროინდელი სახის აღდგენა შესაძლებელი ხდება სწორედ დიუბუას მიერ შესრულებული ჩანახატების საშუალებით. დაბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ 1801 წლის შემდგომ განვითარებული ცნობილი მოვლენების წყალობით, საქართველოდან რუსეთში იძულებით იქნენ გადასახლებულნი სამეფო ოჯახის წევრები, მათ შორის სწავლული ბატონიშვილები და მათთან დაახლოებული პირნი, XIX ს. I ნახევრის საქართველოს შესახებ აღწერილობითი ლიტერატურის შექმნაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით სწორედ უცხოელ ავტორებს, მათ შორის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერესაც, რომლის ნაშრომის მაღალი სამეცნიერო დონე მას პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

აღნიშნული ღირსებების მიუხედავად ფრედერიკ დიუბუას “მოგზაურობაში” გვხვდება არცთუ უმნიშვნელო ხარვეზები დაუსაბუთებელი და უმართებულო მსჯელობისა თუ დასკვნების სახით, რამაც XIX ს. შუახანებიდან მოყოლებული, მანვე ზეგავლენა იქონია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ სხვადასხვა თაობების ავტორთა გამოკვლევებზე. ამის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად მოიკიდა ფეხი მცდარმა თეორიამ ქართული ხუროთმოძღვრების სომხურიდან წარმომავლობის შესახებ, რის სავალალო შედეგებსაც, სამწუხაროდ, დღემდე ვიმკით [2].

წარმოდგენილ ნაშრომში გთავაზობთ ამონარიდებს დიუბუას თხზულებიდან (თარგმანი მ. მგალობლიშვილისა), კერძოდ – საფარის მონასტრისა და ხერთვისის აღწერილობას სათანადო კომენტარების თანხლებით.

საფარის მონასტერი

რვა დღის მანძილზე ახალციხეში ჩატარებული კვლევების შემდეგ გადავწყვიტე მტკვრის ხეობის დათვალიერება და ამ უკანასკნელს ცნობილ

ტროგლოდიტურ ქალაქ ვარძიამდე აყვები; გზად უნდა გამეგლო ხერთვისი და თუ ოდნავ გადავუხვევდი, ასევე შემეძლო მენახა საფარის მონასტერი, რომელსაც ქებით მოიხსენიებენ ადგილობრივი გადმოცემები.

საფარის მონასტერი მდებარეობს ქვეყნის განაპირას, ახალციხიდან 7 ვერსზე, სადაც მტკვარი ფოცხოვისაგან არის გამოყოფილი. ახალციხის კომენდანტმა მეგზურად გამოგვაყოლა ესკორტი ორი კაზაკისა და ერთი ყარაფაფახის შემადგენლობით; იმ დროისათვის ეს საკმარისზე მეტიც იყო ჩვენი მოგზაურობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პირველი სამი ვერსი ფოცხოვის მარჯვენა ნაპირას, ზოლიანი თიხის ფერდობებზე ავდიოდით, რის შემდეგაც გავედით ვულკანური წარმოშობის ერთგვარ ბორცვზე, რომელიც ფოცხოვს მტკვრისა და მისი შენაკადებისაგან გამოჰყოფს. თხემის უკან დავინახეთ ქრისტიანული სოფელი ქვითა და მიწით ნაშენი სახლებით, რომლებიც ძალზე წააგავდნენ ყირიმის სანაპიროზე მცხოვრებ თათართა სახლებს. წყაროები ყველგან იყო, რაც ამ მხარეთა კოლონიზებისათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს.

მოშორებით, ამ კონგლომერატის ფენებსა და ნაპრალებზე, საშინელი გზა მიემართება მონასტრისაკენ: ზოგჯერ ეს არის ვულკანური ქვიშაქვა, რომელიც ვერტიკალური პრიზმული ბოძებით არის გაპობილი. ვულკანური კონგლომერატის ფენები ახალციხის აუზის მიმართულებით არის დახრილი. იგი ეკლიანი მცენარეულობით არის დაფარული ისევე, როგორც ყირიმის სამხრეთ სანაპიროს ზოგიერთ ადგილებში. აქვე შევნიშნე მშვენიერი ყვითელი სოსანი.

ამ ღარიბული მცენარეულობის ფონზე ჩემ თვალწინ გადაიშალა ფიჭვის ტყეებით დაბურული ხეობა, რომელიც ჩიხით ბოლოვდებოდა; იგი თანდათანობით ფართოვდებოდა, ღრმა ნაპრალებით იყოფოდა და გადმოკიდებული იყო უამრავ უფსკრულზე, რაც ამ საშინელ, განმარტოებულ ადგილს თითქმის მიუვალად აქცევდა. ერთადერთი მისადგომი მხარე, რომლითაც ჩვენც ვისარგებლეთ, დაცული იყო გრძელი კედლით, რომელიც ხეობის ამ ნაწილში აგებული ციხით შუაზე იყოფოდა. სწორედ აქ, სიღრმეში მდებარეობს საფარის მონასტერი¹.

ძალაუნებურად იბადება კითხვა, ამ მიუვალი და პირქუში მდებარეობის მიუხედავად, იყო თუ არა საფარა საათაბაგოს ათაბაგების, კერძოდ კი ჩვენთვის ცნობილი მანუჩარის გამორჩეული ადგილსამყოფელი? გადმოცემის თანახმად, მას მიეწერება დღეს უკვე ნანგრევებად ქცეული ციხე-სიმაგრის შეკეთება. ეს უკანასკნელი მთლიანად თლილი ქვით არის ნაშენი. ბორცვის თავზე კარი იყო, რომლითაც ციხეში შედიოდნენ. დიდი გალავნის შიგნით განლაგებული კამაროვანი გადახურვის მქონე იარუსები და სხვა ნაგებობები ეყრდნობოდნენ კლდეს, რომლის თავზეც ორი დიდი კოშკი იდგა. ამ კოშკების კარები თავადვე მიუთითებდნენ მათ დანიშნულებაზე ეს იყო უკანასკნელი თავშესაფარი იმ შემთხვევების დროს, როცა მტერს ირგვლივ ყველაფერი დაპყრობილი ჰქონდა.

დღეს ეს ყველაფერი განადგურებულია და უპატრონოდ არის მიტოვებული. რაც დრო-ჟამს გადაურჩა, ისიც ინგრევა და თანდათანობით მიწასთან გასწორდება. აქ იყო საუკუნეთა მანძილზე წარმოებული გამანადგურებელი

¹ იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 21.

ომების ასპარეზი, ამ ომებმა მთლიანად მოიცვეს მტკვრის ეს ულამაზესი ნაპირები.

ზოგიერთი გადმოცემა მონასტრის მთავარი ეკლესიის დაარსებას ან, უფრო სწორად, მის მშენებლობას ათაბაგ მანუჩარს მიაწერს [3]. მონასტრისაკენ თვალწარმტაცი გზა მიემართება, გაივლით ქვედა მხარეს დიდ შესასვლელ კარს და თვალწინ გადაგეშლებათ უფსკრულზე გადმოკიდებული ეკლესია [4]. თავისი გეგმით იგი გელათს წააგავს, მაგრამ ბარელიეფები, რომლებიც მის კარებსა და ფანჯრებს ამშვენებენ, უფრო მდიდრულია და უკეთესი ოსტატობითაც არის შესრულებული. მშენიერად ნაშენებ გუმბათში ჩაჭრილია რვა სარკმელი [5], რომლებიც ამდენივე დიობითაა გამოყოფილი და შემკულია მდიდრული ბორღიურებით.

ეკლესიას გარს ეკვრის მრავალი ეკვდერი, ზოგი მათგანი სამრეკლოს ირგვლივ არის განლაგებული. უმრავლესობა წარმოადგენს სამგლოვიარო ეკვდერს, სადაც ქართულწარწერებიანი საფლავეები და საძვალეებია მოთავსებული.

როგორც ამბობენ, ეკლესიის ზუსტად მარჯვენა მხარეს განისვენებს მანუჩარ ათაბაგის ნეშტი, რომელსაც სიცოცხლეშივე გამოუთქვამს აქ დასაფლავების სურვილი. აქვე არიან დაკრძალულნი მისი წინაპრებიც. დიდგვაროვანთა საერთო წესის თანახმად, საქართველოში მათ საგვარეულო ტაძრებში ასაფლავებდნენ, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოხვდა მანუჩარის ნეშტი ქრისტიანულ ეკლესიაში, თუკი მან ისლამი მიიღო, როგორც ეს სენ-მარტენის ისტორიულ მემუარებშია აღნიშნული?¹ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ცნობილი ორიენტალისტი ცდება და მანუჩარი მის ძმასთან ყვარყვარესთან გააიგივა, რომელმაც მართლაც მიიღო ისლამი. ბ-ნ ბროსე-უმცროსის მიერ თარგმნილ ერთ ქართულ ქრონიკაში² იგი მკაცრად არის გაკიცხული ამ განდგომის გამო, თუმცა არაფერია ნათქვამი საკუთრივ მანუჩარის მიერ სარწმუნოების გამოცვლის თაობაზე: პირიქით, საუბარია იმ მზაკვრობის შესახებ, რომელიც თურქებმა მოუწყვეს მანუჩარს მის დასაღუპად, აგრეთვე მისი გაქცევისა და ქართლის მეფის სიმონის ასულ ელენეზე დაქორწინების შესახებ. ეს კავშირი ვერაფრით შედგებოდა, მანუჩარი რომ თავისი სარწმუნოებიდან განდგომილიყო, რადგან ქართველები ასეთი პიროვნებების მიმართ სიძულვილით არიან განმსჭვალულნი[6].

მეორე ქრონიკა, რომლის სომხური დედანიც უბედურმა შულცმა ბ-ნ სენ-მარტენს გადასცა, ასევე მოიხსენიებს მხოლოდ ყვარყვარეს გამუსლიმებას, რომელიც სწორედ ამ ნაბიჯის მეშვეობით დაუბრუნდა თავის ქვეყანას. იგი ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და ათაბაგობა მანუჩარმა მიიღო. არსად არ არის ნათქვამი, რომ მას ეს სარწმუნოების დაღატის ფასად დაუჯდა; პირიქით, როგორც ჩანს, მისი მემკვიდრეები ქრისტიანები იყვნენ 1625 წლამდე, ვიდრე საფარ-ფაშამ არ დაიკავა მანუჩარის შთამომავალთა ადგილი³.

¹ Saint-Martin, Mem., I, გვ. 75.

² Cronique georg., ბ-ნ ბროსეს მიერ თარგმნილი, გვ. 22.

³ ამ სომხური ქრონიკის ხელნაწერის თარგმანში, რომელიც თავაზიანად მომავლოდა ბ-მა ბროსე-უმცროსმა, აღნიშნულია 1580 წელი.

ამგვარად, ვფიქრობ, რომ მანუჩარს შეცდომით მიაწერენ გამუსლიმებას, ეს ეწინააღმდეგება ქრონიკებს და ყველა ადგილობრივ გადმოცემას, რომლებიც მის ბრწყინვალე საგმირო საქმეთა გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო მდიდრული და მშვენიერი სანახაობა, ვიდრე წმინდა მოცისფრო ფერის ქვიშაქვის ბალუსტრადია, რომელიც საკურთხეველს კეტავს და რომელზეც იკონოსტასია დამაგრებული. ექვსი სვეტი, რომელთაც იგი ეყრდნობა, ნატიფი არაბესკებითაა მორთული⁴, სვეტებს შორის არეები კი შევსებულია ოთხი ბარელიეფით, რომლებზეც გამოსახულია ღვთისმშობლის ხარება და სახარების სხვა სიუჟეტები. ყველა ეს სიუჟეტი მაღალი ოსტატობითაა შესრულებული, რამაც გამოაცა, რადგან ამ ქვეყანაში ნაკლებად გრძნობენ პლასტიკურობას; ფიგურები პროპორციულია და აღსავსეა ექსპრესიულობით, ეს წმინდა ქვიშაქვა კი მთელ ნამუშევარს დახვეწილობასა და სიმსუბუქეს ანიჭებს [7].

სხვა ქანდაკებები, რომლებიც აქა-იქ ჩანს ეკლესიასა და სამლოცველოებში, შესრულების ოსტატობით მათთან ვერ მოვლენ, მათ შორის თვით ძლევაძოსილი მხედარი გიორგიც, რომლის გამოსახულებითაც შემკულია მისივე სახელობის სამლოცველოს შესასვლელი. სამხრეთ კავკასიაში, სადაც კი ვყოფილვარ, ამის მსგავსი არაფერი მინახავს, გარდა იმ ქვისა, რომელსაც ზუსტად ასევე ეყრდნობა კაცხის ეკლესიის კანკელი ყვირილას ნაპირზე და რომელიც იგივე სტილშია შესრულებული, სავარაუდოდ, იმავე ოსტატის მიერ.

ინტერიერის კედლები ყველგან დაფარული იყო საკმაოდ კარგად შესრულებული ნახატებით. დიდი სურვილი მქონდა, მთავარ შესასვლელ კარზე ამოკვეთილი გრძელი წარწერა გადმომეღო, მაგრამ უდროობის გამო ამის საშუალება არ მომეცა [8].

პირვანდელი ეკლესიის ნანგრევები ახლანდელი ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზეა. მის ძირითად სამშენებლო მასალად მოწითალო, მოცისფრო და მოყვითალო ფერის ქვიშაქვაა გამოყენებული.

ხეობის სიღრმეში თქრიალით მოსჩქეფს წყარო, რომელიც ეკლესიას გამოჰყოფს მონასტრის ძველი საცხოვრებლებისაგან, ასე საცოდავად რომ გამოიყურებიან ამ ჩინებული რელიეფების გვერდით. დღეს აქ აღარვინ ცხოვრობს. მღვდელი, რომელიც ზოგჯერ მოდის ხოლმე საფარის მონასტერში ღვთისმსახურებისათვის, სოფელ ანდრიაწმინდაში (ანუ წმინდა-ანდრიაში) ცხოვრობს იქ მოშიშვლებულ კლდეებზე, ხევის გასწვრივ გამავალი გზით მივედით. სოფლის ბოლოდან მტკვრის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის – **Tschalis** ანუ **Tscholu-ს** ხეობაში [9]. დავეშვით; ჩემს თანმხლებ ყარაფაფახს სურდა წავეყვანე მეორე ქრისტიანულ სოფელში, რომელიც ჩვენგან ხელმარჯვნივ მდებარეობდა, კაზაკებს კი უნდოდათ, რომ სულ პირდაპირ გვევლო გობიეთამდე, რომელიც ზედ გზაზეა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ შეთანხმდნენ და საღამო ხანს ჩავედით **ღობიეთში**, რომელიც დიდი სოფელია მტკვრის ნაპირზე, ახალციხიდან 25 ვერსზე.

აქაური მობინადრეები, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმები იყვნენ, ქართულად საუბრობდნენ და ამავე დროს, თურქულიც ესმოდათ. ისინი საათაბაგოში მცხოვრები ის ძველი ქართველები არიან, რომლებსაც 1625 წელს საფარ-ფაშამ

⁴ იხილეთ ატლასი, III სერია, არქ., ფურც. 18, ნახ. 10-11.

იძულებით მიაღებინა ისლამი; კიდევ უფრო შეუწყნარებელი აღმოჩნდნენ მისი ვაჟი იუსუფ-ფაშა და შვილიშვილი როსტომი, რომლებმაც ამ ქართველთა დევნა-შევიწროება მანამდე გააგრძელეს, სანამ ყველანი ძალით არ მოაქციეს თავიანთ რჯულზე. უცნაური კი ის იყო, რომ ეს დევნა მხოლოდ ქართველების მიმართ წარმოებდა და არანაირად არ ვრცელდებოდა სომხებზე, რომლებიც სულთნისაგან ერთგვარი სინდისის თავისუფლებით სარგებლობდნენ, ისევე როგორც ოდესღაც ჩვენში ებრაელები.

აქაურ ძირძველ ქართველებს ისეთივე გარეგნობა ჰქონდათ, როგორც იმერლებსა და კახელებს. ვფიქრობ, ყველანი დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდნენ ქრისტიანობის წიაღში, რომ არ ეშინოდეთ თურქების მობრუნებისა და იმ სისასტიკისა, რასაც ეს უკანასკნელი მათ მიმართ გამოიჩენდნენ ისლამური სარწმუნოებისაგან განდგომის შემთხვევაში. მათ უჭირთ იმის დაჯერება, რომ ამ რეგიონში რუსების ხელისუფლება სტაბილური იქნება. უწინ ღობიეთში მათ ორი ეკლესია ჰქონდათ; ერთი მათგანი დანგრეულია, მეორე კი, რომელიც არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, თავის დროზე მეჩეთად გადააკეთეს, დღეს კი ბორბლების საწყობად იყენებენ [10].

ჩვენ საკმაოდ მეგობრულად მიგვიღეს, ალბათ, ჩვენი ყარაფაფახის გამო; დაგვაბინავეს საჩიხის ქვეშ, დიდი ცეცხლის პირას, თუმცა, როდესაც ძალზე დაღლილი ხარ, ყველგან კარგად გძინავს. თურქების უღლის ქვეშ ხანგრძლივად ცხოვრების მიუხედავად, ძველ ქართლოსიანთა ამ შთამომავალთათვის სულაც არ არის უცხო ის იმერული სტუმართმოყვარეობა, რომელიც თავაზიანობის ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია.

ხერთვისი

პარასკევს, 1 (13) სექტემბერს, განვაგრძეთ გზა; გავიარეთ ახალშენი (შემოკლ. ახაშენი), რომელიც ასევე ერთ-ერთი ძველი ქართული და ახლა უკვე გათურქებული სოფელია ღობიეთიდან 7 ვერსზე. სოფლის ცენტრში ჯერ კიდევ დგას ძველი ეკლესია [11], მის ირგვლივ კი ძველი საფლავებია, რომლებზეც ჯვრებია გამოსახული. ზოგი მათგანის ქვა ისევე, როგორც ახალციხეში, ვერძის ფორმისაა¹. ამგვარი საფლავები არც საკუთრივ საქართველოში და არც ძველ კოლხეთში არ შემხვედრია. ეს მიღებული იყო დიდი არმენიის დროინდელ სომხებთან და როგორც ჩანს, როდესაც ქართველებმა დაიპყრეს სომხები, მათგან გადმოიღეს ეს ჩვეულება [12].

ასპინძამდე გზა მტკვრის მარცხენა ნაპირს მიუყვება; აქედან კი მთელი გასასვლელი გადაღობილია მდინარის პირას აღმართული საშინელი კლდეებით. აველით ამ კლდეების თავზე და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ჩამოვიტოვეთ ასპინძა, ხოლო მარცხნივ, ვიწრო ხევში, გზიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით აკმეტის (Akmet) აბანოები [13]. ამ წყლებზე ხალხმა უკვე დაიწყო სიარული. ეს

¹ იხილეთ ატლასი, IV სერია, ფურც. 28.

არის 13⁰-მდე ტემპერატურის მქონე მომყავო წყალი, დასაღვევად სასიამოვნო. მიწიდან ამოსვლისას იგი ავსებს ორ აუზს, სადაც ბანაობენ². ამ წყალს უხვად მოჰყვება კირქვიანი ტუფი, რომელსაც ახალციხეში სამშენებლო მასალად იყენებენ, რადგანაც, როგორც ამბობენ, ამაზე უკეთესი კირქვა ამ ქვეყანაში არ არსებობს [...]

კლდეების თხემის საპირისპირო მხარეს მდებარე ფართო ხეობა სახნავი მიწებითაა მოფენილი; ხერთვისთან მიახლოებისას მტკვრის ხეობა კვლავ ვიწროვდება. ორი შვეული, მოშავო ფერის ფერდობი ერთმანეთისაგან გამოყოფილია მტკვრის დინებითა და ხეხილის ბალებით დაფარული მიწის ნაკვეთის ვიწრო ზოლით. სულ უფრო მზარდი ინტერესით შევყურებდი ჩემ პირდაპირ ბნელი და ღრმა ნაპრალით გადაკვეთილ ფერდობს, რომლის შესასვლელსაც ნახევრად ფარავდა შავი, განცალკევებულად აღმართული კლდე. სწორედ ამ ადგილას მდებარეობს ხერთვისი. ეს ნაპრალი წარმოადგენს ვიწრო ხეობას, რომელსაც გაივლის ფარავანი, ვიდრე მტკვარს შეუერთდება. ამ ციცაბო კლდეზე კი, რომელც ორი მდინარის შეერთებისას კუთხეს ქმნის, დგას ხერთვისის ციხე: იშვიათად თუ იპოვის მხატვარი თავისი ფუნჯისათვის ამაზე უკეთეს პეიზაჟს!

უწინ ხერთვისი სანჯაყის მთავარი ქალაქი იყო, რომელიც თურქი ფაშის რეზიდენციას წარმოადგენდა; დღეს კი აქ რუსი ჯარისკაცების გარნიზონი დგას. ისინი იცავენ ამ პუნქტს მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგანაც ოთხივე მხრიდან ადვილად მისადგომია, თუმცა უმეცარი თურქების წინააღმდეგ ყველა საშუალება გამოსადეგია.

ხერთვისი, ჩვენამდე მოღწეული სახით, ქართველების მიერ არის აგებული თამარისა და მისი მემკვიდრეების დროს; მაგრამ საქართველოს ისტორიაში იგი მოიხსენიება, როგორც ქართლელთა დასაბამიდან უკვე არსებული: მას ასახელებენ იმ ციხე-კოშკებს შორის, რომლებიც ალექსანდრე დიდმა ან მისმა სარდლებმა დაიპყრეს [14]. მისი ისტორია მთელი საათაბაგოს ისტორიაა.

თავდაპირველად ეს ციხესიმაგრე მხოლოდ თანამედროვე ციტადელს მოიცავდა, რომელიც კლდის უსწორმასწორო მწვერვალზე დგას. აქ არის პატარა, კარგად შემონახული ბერძნული ეკლესია; აქვე, დაბალი, ფარული კარიდან გადმოვიღე საკმაოდ ვრცელი ქართული წარწერა, ძველებური ასოებით, რომელშიც ბ-ნმა ბროსემ მხოლოდ ამის ამოკითხვა შეძლო: “სახელითა ღვთისათა, მისი წმინდა დედის შეწევნითა და თანდასწრებით, თანხმობით... მე დავიწყე ... მეფეები... მე კამკამისშვილისამან, ოფელ ქვეყნის, ეს კოშკი და ... 45 წელს, 14 თებერვალს, ღმერთო... ამინ” [15].

იგი ჩვენი წელთაღრიცხვით 1357 წელს არის აგებული, ათაბაგ ყვარყვარეს ზეობისას, რომელიც იყო სარგისის ძე, გიორგი ბრწყინვალის ძის, დავით VIII-ს ვასალი და რომელიც იმავე ხანებში გარდაიცვალა [16].

ციხის დანარჩენი, შედარებით ახალი ნაწილი გადაჭიმულია ციტადელის აღმოსავლეთით და სამხრეთით, კლდეზე, და შედგება ოთხი გამაგრებული კოშკისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულნი არიან ოთხი ფუტის სისქის კედლით. თითოეულ კოშკს თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს: დასავლეთით მდებარეობს ქუფრუ-კალა, მის სიახლოვეს ჯაბახანა, სამხრეთ-აღმოსავლეთის

² ვინაიდან თვითონ არ ვყოფილვარ ახმეტაში, ეს ცნობები მომყავს ბ-ნ ტესეირეს მიხედვით, რომელმაც აქ ერთი სააბაზანო სეზონი გაატარა.

კუთხის კოშკი უზუნი დაბოლოს, სამხრეთისაკენ მიმართული თოფხანა. ეს ორი უკანასკნელი კოშკი იცავს ორ კარს: სამხრეთის კარს ჰქვია “სოვკაპი” (წყლის კარი), აღმოსავლეთისას კი ჩარჩი-კაპი (ბაზრის კარი).

ციხის ტერიტორიაზე მხოლოდ ათი სახლია, რომელთაგან საუკეთესოც ჯარის კაპიტანს ეკუთვნის. ადრე აქ ფაშა ცხოვრობდა, რომელმაც ეს სახლი დიდი რუდუნებით ააშენა და ერთგვარი ფუფუნებითაც მოაწყო. ამ ქვეყნის პირობაზე განსაკუთრებით კარგად იყო მოწყობილი ჰარამხანა: კაპიტანმა აქ თავისი საზაფხულო საცხოვრებელი მოიწყო, რადგანაც ეს ნაგებობა გამოუსადეგარია ხერთვისის ცივი, თოვლიანი და ხანგრძლივი ზამთრის პირობებში. ჩემი აზრით, ეს ციხე ზღვის დონიდან დაახლოებით 4 000 ფუტზე მდებარეობს; აქ არის ძალზე სასარგებლო ჰავა, ალბათ ამიტომაც მე იქ არც ერთი ავადმყოფი ჯარისკაცი არ მინახავს.

წყალი ამოაქვთ ფარავნიდან ორი, მიწისქვეშა გზით [17] და ისინი ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ ქუთაისის ციხის გზის მსგავსნი არიან.

ხერთვისის პატარა დაბა ციხესიმაგრის ძირში, სამხრეთისაკენ მიმართული კლდის გასწვრივ არის გაშენებული. მოსახლეობა დაახლოებით 800 სულამდეა, მათ შორის რამდენიმე სომეხი წვრილი ვაჭარია. აქვეა ორი ხიდი: ერთი მტკვარზე, მეორე ფარავანზე.

ხერთვისის კომენდანტმა კაპიტანმა ისე მიმიღო, როგორც რობინზონი მიიღებდა თავის უკაცრიელ კუნძულზე ჩასულ ევროპელს: იშვიათად თუ ვინმე გზააბნეული შეივლის რუსეთის ესოდენ შორეულ საზღვარზე და ამ კეთილი ოფიცრებისთვისაც ბედნიერებაა ისეთი ადამიანის ხილვა, რომელიც მათ მსოფლიოს ახალ ამბებს შეატყობინებს. კაპიტანი დიდებულად გამიმასპინძლდა საუცხოო კახური ღვინით და ფარავნის უგემრიელესი პატარა კალმახებით; ამის შემდეგ, რადგან იმავე დღეს მსურდა ვარძიაში ჩასვლა, მან იზრუნა, რათა რეკომენდაცია გაეწია ჩემთვის იმ ერთადერთ მცხოვრებთან, რომელიც ღვინისათვის ამ ქალაქის მთელ მოსახლეობას წარმოადგენდა: მოიყვანეს ერთი სომეხი, დააწვინეს ბრძანება, რომელსაც კაპიტანმა თავისი ბეჭედი დაუსვა; მანვე სთხოვა თავის ლეიტენანტს, წარმოშობით საქსონელს, რომელსაც ნაწილობრივ ჯერაც ახსოვდა თავისი მშობლიური ენა, თან გამოგვეყოლოდა. ჩვენ ასევე შემოგვიერთდა ორი მამაცი კაზაკი და ის იყო, ცხენებზე უნდა ავმხედრებუდიყავით, როცა ქალაქიდან შეგვატყობინეს, რომ ზემოხსენებული მცხოვრები რაღაც საყიდლებისათვის ქალაქში იყო ჩამოსული. ასეთი კარგი ამბით დიდად გავიხარეთ და ეს უკანასკნელი ჩვენთან მოვიხმეთ. კაპიტნის ბრძანების საფუძველზე, მას ვთხოვეთ, მეგზურობა გაეწია ჩვენთვის. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა, წინ გაიძღოლა ტომრებით დატვირთული თავისი პირუტყვი და ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, უკან მივეყოლოდით.

კომენტარები:

1. Frederic Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimée, t. I-VI, Paris, 1839-1843.

წინამდებარე სტატიაში გამოყენებული ტექსტის თარგმანი ეკუთვნის მ. მგალობლიშვილს.

2. ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია: Сведения Фредерика Дюбуа де Монпере о грузинских архитектурных памятниках (Мартвильский кафедрал, Атенский Сион), "Caucasica", №7, 2003.

3. იგულისხმება მანუჩარ II, სამცხის თაბაგი (1581-1614), ქაიხოსრო II ათაბაგის (1545-1573) ვაჟი და ყვარყვარე IV ათაბაგის მომდევნო ძმა. დიუბუა აქ იმეორებს იმ ხანებში გავრცელებულ აზრს, რომლის მიხედვით ციხის აღმდგენელი და მთავარი ტაძრის ამშენებელი სწორედ ეს მანუჩარ ათაბაგი გახლდათ. სინამდვილეში საფარის ანსამბლის ცალკეული ნაწილები ქრონოლოგიურად განშრევებულია და მისი ყველაზე ადრეული ნაგებობა – მიძინების ეკლესია X ს-ით თარიღდება (იხ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 27).

4. ეს არის ანსამბლის მთავარი შენობა – XIII ს-ის მიწურულს აგებული წმ. საბას ტაძარი და მისი სამრეკლო (სხვა ნაგებობათაგან ზოგი მისივე თანამედროვეა, ზოგი კი XIV-XVI სს-ს მიეკუთვნება). სწორედ XIII-XIV სს-თა მიჯნაზე, როდესაც სამცხე ჩამოშორდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ჯაყელებმა საფარა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად და საგვარეულო საძვალედ გადააქციეს. წარწერის თანახმად, წმ. საბას ტაძარი აგებულია სარგის ჯაყელის ძის - ბექა I მანდატურთუხუცესის (1285-1306) მიერ: სარგის ათაბაგი ბერად აღიკვეცა საბას სახელით. ჯაყელთა გვარის წარმომადგენლები სარგის, ბექა, სარგის II და ყვარყვარე გამოსახულნი არიან ტაძრის სამხრეთ კედელზე; ერთ-ერთი წარწერა ასევე გვამცნობს, რომ ტაძრის ხუროთმოძღვარი ყოფილა "ფარეზასძე" (ვ. ბერიძე, სამცხის ..., გვ. 27-30, 50; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ. 1974, გვ. 159). სამრეკლოს ქვედა, კუბურ ნაწილში, იყო ჯაყელთა მსახურთუხუცესის ლასურისძის საგვარეულო სამარხი.

5. წმ. საბას ტაძრის გუმბათის ყელი თექვსმეტწახნაგაა, ნამდვილი სარკმელი კი მხოლოდ რვაა, თითოთს გამოშვებით: სხვა საპირეების შიგნით ქვის წყობაა და მასზე თიხის ალათების "სურათია" რელიეფურად გამოყვანილი. ამგვარად, წინათ, როცა ნამდვილ სარკმლებში ნამდვილი ალათები იყო ჩასმული, შორიდან 16 სარკმლის სრული შთაბეჭდილება უნდა შექმნილიყო (ვ. ბერიძე, სამცხის ხ-ბა, გვ. 40-41).

6. 1579 წ. მანუჩარი თავის ძმასთან - ყვარყვარესთან ერთად სულთნის ბრძანებით სტამბულში ჩავიდა. აქ მურად III ორივე ძმას შესთავაზა გამაჰმადიანება, რაზეც ყვარყვარემ მტკიცე უარი განაცხადა, თუმცა ამის მიუხედავად სულთანმა კომპრომისი ამჯობინა და ყვარყვარე ქრისტიანობით მაინც დაამტკიცა სანჯაყის გამგებლად. განსხვავებული პოზიცია დაიკავა მანუჩარმა, იგი უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, ამიტომაც დროებით უკან დაიხია, ისლამი მიიღო (მუსტაფა ეწოდა) და სანაცვლოდ სულთანმა მას ბეგლარბეგობა უბოძა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მისი ტაქტიკური სვლა იყო: სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მანუჩარი საიდუმლოდ დაუკავშირდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, მათ შორის სიმონ ქართლის მეფეს, რომელსაც აცნობა ოსმალთა ლაშქრის თბილისისაკენ მსვლელობის გეგმა, რისი წყალობითაც სიმონმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები მუხრანთან ბრძოლაში (1582 წ.). ოსმალებმა ვერ შეძლო მანუჩარის აჯანყების ჩაქრობა სამცხეში: 1582 წ. მანუჩარმა სამცხეში აღადგინა ათაბაგობა, კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა და სამცხის ათაბაგი გახდა. 1583 წ. მან ცოლად შეირთო სიმონ I-ს ქალიშვილი

ელენე (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში. თბ., 1971, გვ. 129-130; 136-155).

7. იგულისხმება მიძინების ეკლესია, რომელიც სამხრეთიდან ეკვრის წმ. საბას ტაძარს. წინათ იგი მდიდარი მორთულობით გამოირჩეოდა. კანკელი, რომელზეც დიუბუა საუბრობს, აწ უკვე დაშლილია და მისი გადარჩენილი ქვები დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. მისი ფიგურული რელიეფები ქართული დეკორატიული პლასტიკის შედევრად არის აღიარებული. ტაძრის მოხატულობის ორიოდ ფრაგმენტია გადარჩენილი, XIX ს-ის ბოლოს აქ რუსი ბერები დაბინავდნენ და შესაბამისი “გულმოდგინებით” შეიტანეს ცვლილებები ტაძრის მორთულობაში (იხ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, [გვ. 42]. რუსი ბერების ნამოღვაწარზე ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: «Сафара теперь возобновлена и обращена в русский монастырь, но возобновление совершенно исказило все древнейшие постройки Сафары. Кто бывал до реставрации в Сафаре, тот не узнал бы теперь ее. Тут как-будто нарочно старались все устроить так, чтобы ничего не напоминало старину» : Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, Тифл., 1905, вып. I, გვ. 103).

8. წარწერების პირველი გამოცემა ეკუთვნის მარი ბროსეს (Voyage, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. SPb., 1850-51). შედარებით უფრო ზუსტია საფარის ეპიგრაფიკული მასალის ე. თაყაიშვილისეული გამოცემა (Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, 1905). ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 25-89.

9. ანდრიაწმინდა – სოფელი ახალციხის რ-ში. დღეისათვის ანდრიაწმინდის სიახლოვეს ასეთი სახელწოდების მქონე მდინარე არ ფიქსირდება, მისგან დაახლოებით 1,5 კმ-ში კი იწყება მდ. ურავლის ხეობა. შესაძლოა, დიუბუას მოგზაურობის დროს აქ მიედინებოდა სეზონური, დელის მსგავსი წყლის ნაკადი მდ. ურაველამდე და არ არის გამორიცხული, ადგილობრივ მოსახლეობას მისთვის სახელიც შეერქმია.

10. **ღობიეთის** ეკლესია უძველესია და VII ს-ით თარიღდება (Г. Джамбурия, К. Мелитаури, Ш. Хантадзе, Н. Шошиашвили, Вардзия, Тб. 1957, с. 38; გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა..., გვ. 104-105).

11. **ახაშენის** (პირველადი ფორმით – ახალშენის) ეკლესია - ერთნავიანი XI ს-ის ტაძარი სამცხეში (Вардзия, გვ. 39). ტაძარი და მისი წარწერაც ნ. ჩუბინაშვილმა XI ს-ის I მეოთხედით დაათარიდა (იხ. ნიდვარაი საურმაგის ძის ქტიტორული რელიეფი სოფ. ახაშენიდან ჯავახეთში, “ქართული ხელოვნება”, ტ. 5, თბ., 1959, გვ. 135-151; აგრეთვე: გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 105-106, 262).

12. აქ დიუბუა არსწორად მსჯელობს: ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია გვიანფეოდალური ხანიდან საქართველოში შემორჩენილი “ასეულობით და ათასეულობით ბრტყელი ფილაქვები, “კუბო-ქვები” (ერთ მათგანზე ამოჭრილი წარწერისავე ტერმინი რომ ვიხმაროთ), თუ ცხენის, ცხვრის ან საყდრის ქანდაკების სახით გამოყვანილი ქვები, რომლებიც თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება. განსაკუთრებით თავისებურია “ცხოველ-ქვები”, რომლებიც უფრო გავრცელებულია მტკვრის სამხრეთით მდებარე მხარეებში – ქვემო ქართლში, მესხეთსა და ჯავახეთში (გ. ლომთათიძე, საფლავის ქვათა ლადადისი, ჟურნ. დროშა, 1969, №4-5). აგრეთვე: “ხშირია ცხვრის ან ცხენის

ფორმის საფლავის ქვები; უმეტეს შემთხვევაში ცხენი შეკაზმულია და ზედ სამხედრო იარაღებია ამოკოდილი; ასევეა ცხვრებზეც: ზედ ამოკოდილია მიცვალებული, ხმალ-ხანჯალი, დამბახა და, რაც მთავარია, დუქარდი (ცხვრის საპარსი მაკრატელი). ეს უკანასკნელი მიგვიტოთებს მიცვალებულის საქმიანობაზე: მეცხვარე ყოფილა” (ზ. მაისურაძე, ისტორიის ქვის ფურცლები, “ძეგლის მეგობარი”, 1970, კრ. 20, გვ. 64-71).

13. **აკმეტის (Akmet) აბანოები** – ამ კონკრეტული სახელწოდების აბანოს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ასპინძაშიც და მის მახლობლადაც დღესაც მრავლად ვხვდებით თბილი რადიაქტიული წყაროს წყლებს, რომლებსაც სამედიცინო დანიშნულებით, სამკურნალო აბაზანებისათვის იყენებენ.

14. **ხერთვისი** - ძვ. ქვემო ჯავახეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი, ფარავნის-წყალისა და მტკვრის შესაყარში; ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ საქართველოში მოსულ ალექსანდრე მაკედონელს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად უნახავს ხერთვისი და წუნდა (ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., I, გვ. 17-18). მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი სარწმუნოდ არ არის მიჩნეული, მაგრამ სახელწოდება “ხერთვისის” გარდა ამ ციხის სიძველეზე დამაჯერებლად მოწმობს მასზე შემორჩენილი ადრეფეოდალური ხანის ფენაც (დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. V, 1975, გვ. 92). X საუკუნისათვის ხერთვისი უკვე სამეფო ციხედ არის ცნობილი და მას მეფის ციხისთავი განაგებს (ვ. გაბაშვილი, ხერთვისი, თბ., 1960). XVI ს-ის მიწურულიდან ხერთვისს, ისევე როგორც მთელ მესხეთს, თურქები დაეპატრონენ და მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828-1829) შეძლეს რუსულმა ჯარებმა საქართველოსათვის მისი დაბრუნება (აგრეთვე იხ. **К. Мелитаури**, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, II, Тб., 1972, сс. 34-37. “Первоначальное строительство, что охватывало только 3 половину к X в., основывается на следующих соображениях: первое - это надпись церкви с датой 985 г., контрфорсы характерные для X-XI вв. и, наконец, башня высотой в 18 м., увенчанная четких форм куполом на усердно выполненных трюпах, должны указывать на эту же дату”);

15. დიმ. ბაქრაძის გადმოცემით, მღვდელ გვარამაძეს მისთვის მიუტანია ხერთვისის ეკლესიის წარწერა, სადაც იკითხებოდა “მეფეთ-მეფე” და “ქორონიკონი 205” (985 წ.). ამის შესახებ მან მიუთითა ვახუშტი ბატონიშვილის “საქართველოს ისტორიის” მის მიერ რედაქტირებულ გამოცემაში (ტფ., 1885, გვ. 146).

დიუბუას მიერ მოხსენიებულ წარწერა კი ვ. ცისკარიშვილის მიერ არის გამოქვეყნებული: “ციხის შესავალი კარის თავზე მოთავსებული ყოფილა წარწერა, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. ეს წარწერა პირველად აკად. მარი ბროსემ გაარჩია დიუბუასეული ფოტოს მიხედვით, შემდეგ ბროსემ სამჯერ შეასწორა თავისი წანაკითხი და ბოლოს – ე. თაყაიშვილმა, როგორც თვითონ ამბობს, “აღნიშნული მასალების საფუძველზე, ასე წაიკითხა: სახელითა ღვთისათა, ოხითა და შეწევნითა წმიდისა მშობელისა თვთისათა, მინდობითა წმიდისა იოანე მახარობელისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოღარეთუხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამისშვილისამან, ოფელმან, კოშკი და გაღავანი ესე ქორნიკონსა მზ და გავათავეთ მდ. დმერთო... გულხინე, ამინ” (ე.ი. მოღარეთუხუცესმა ზაქარია ქამქამისშვილის ძემ, ოფელმა, 1354 წ. (1312+42=1354)

დაიწყო ხერთვისის კოშკისა და გალავნის მშენებლობა და 1356 წ. დაამთავრა (ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 111). ბროსეს აზრით, “ოფი” გეოგრაფიული პუნქტია შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის მახლობლად. ხერთვისის წარწერა საყურადღებო ცნობას გვაწვდის სამცხის მიერ მონღოლთა ხასობის მიღების შემდეგ (1266 წ.) საქართველოს სამეფოსთან მისი დამოკიდებულების გასარკვევად: ხასობის მიღების შემდეგ სარგის ჯაყელი უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდა, თუმცა თავისი ძველი სამოხელეო წოდება შეინარჩუნა და წინანდებურად სამცხის სპასალარად იწოდებოდა, ხოლო მისი მემკვიდრე ბექა I (1285-1306) მანდატურთუხუცესის წოდებას ატარებს; “ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საქართველოსა და მესხეთს შორის კავშირი მთლიანად არ შეწყვეტილა და დამოკიდებულებაც ამა თუ იმ სახით უეჭველად არსებობდა” (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 267).

16. ყვარყვარე დავითის ვასალი ვერ იქნებოდა, რადგანაც 1311 წ. დავითი უკვე გარდაცვლილია:

დავით VIII - 1293-1311

სარგის I - 1268-1285

ბექა I (სარგისი ძე) – 1285-1306

სარგის II (ბექას ძე) – 1306-1334

ყვარყვარე I (სარგისის ძე) - 1334-1361

17. გვირაბები: “ციხის აღმოსავლეთიდან ჯავახეთის მტკვარზე ორი გვირაბი ეშვება, რომელთაგან ერთი ფარულ გზას წარმოადგენს, მეორე კი შიშიანობის დროს წყლის მომარაგებას ისახავდა მიზნად” (ც. გაბაშვილი, ხერთვისი).

Iela mikiashvili

A Few Episodes from the “Travels” of Frederic Dubois de Monpere in Akhaltsikhe (Sapara, Khertvisi)

Frederic Dubois de Monpere (1798-1850) is a scientist-traveler, whose works promoted the development of European Kartvelology. French by origin, born in Switzerland, he was an outstanding geologist, naturalist and archeologist. He traveled a lot, including Transcaucasian countries and Georgia among them (1833-1834) which resulted in his extensive work (in 6 volumes) “Travels around the Caucasus, at Circassians and Abkhazians, in Kolkhida, in Georgia, Armenia and the Crimea”. The work is written in the genre of keeping a diary, where he described everything heard and seen in detail, precisely defining the information on antique, medieval and his contemporary authors about this region. The striking illustration of this very important work is the honorary reward – the gold medal of French Geographical Society, awarded to him in 1838.

The importance of “Travels” for Georgian original source studies should be especially noted: because of the known political events, a certain gap has appeared in Georgian historiography, concerning the description on the history of the first half of the 19-th century (after the conquest of Georgia by Russia). Hence, Duboi’s “Travels” acquires the significance of primary source in many historical aspects of the given period.

The article presents excerpts from the work of Dubois with relevant comments, in particular the description of Sapara Monastery and Khertvisi .